იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი: წლით . . . 7 მანეთი. ნახევარი წლით . . . 4 მანეთი. თვით . . . 3 აბაზი. ცალკე ნომრის ერთი შაური.

წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

№ 149 წელიწადი მეორე 1913 ორშაბათი 24 მაისი

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.

ცენზურა

60

ვეკუელობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში. ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

ამ ბოლო სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოეწყობა ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე გვაქვს შესრულობის აგეთი და ელექტრონის გასანათებელი მაგთულების მოწყობის; ყოველთვის მოეწყობა მსურველთათვის სპეციალისტი ძონტიორები, ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთეს ჩვენ გვაძლევს გასირულობით. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.

მიილება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

იმერეთი

1913

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . .	4 მანეთი.
ერთი თვით . . .	3 აბაზი.
და ცალკე ნომერის . .	1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით ჰწერი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგობით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოგზავნოს: Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

გენერალ-მაიორი იასონ, სოლომონ და მელიტონ ალექსანდრეს ძენი ახელენიანები, ელაკერინე ალექსანდრეს ასული ქაჯაიასა, ელენე ალექსანდრეს ასული დუმბაძისა, ელისაბედ, ასინეთ და პოტიტ ახელენიანების გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველნი ხუთნი უსაყვარლესის დედისა, ხოლო დანარჩენი დაუნეწარი დედამთილისას

სალოცავ-ეკლესიო ხორციელი ასულის ახელენიანისას.

მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია 21 მაისს, სამშაბათს, დილის 9 საათზე, (ბაღის ქუჩა, წერეთლის სახლი). ცხედარს მიასვენებენ ს. საჩინოს და დაკრძალვენ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის საგვარეულო სასაფლაოსე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელის თამბაქოს ქარხანა.

ნ. ს. ბოზარჯიანცის

შპს.

თფილისში.

ეცნობის ყოველ ბატონ-ქალბატონს, რომ ჩვენ თამბაქოს მომხმარებელთა, რომელთა რიცხვი თან და თან მატულობს, ჩვენ რამდენიმე ახალი მანქანა შევიძინეთ.

ამ ჟამად დიდი გასაღები აქვს ყოველდღიურად: „სიმპატია“ და „№-8 № 10 ცალი 6 კაპ. გაღის 500,000 ც. „დრუჟბა“ და „ტოვარიშჩ“ 20 ცალი 1 შ.—700,000„ც. პარტივი და იაფი გასახვევი ხელს გვაძლევს, რომ საუკეთესო ღირსების საქონელი მივაწოდოთ. ფირმის პაპიროსები ყველგან იყიდება, უფთხილდით უსირცხვილო სიყალბეს. ფირმა არსებობს 1859 წლიდან.

ფარნა ბეჟანის შე გაბუნია

ქუთაისი

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე საპარტიო საწყობი ფართლეულობისა და რეზინის კალოშებისა

გადავიტანე

საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ.

მიღებულია დიდ ძალი სჯაქილი, ისევიდება ზარალით და წურლათ.

პატივისცემით: ფარნა ბ. გაბუნია.

ქუთაისი.

ბაებზე დამყარებული ამხანაგობა

კირაკოზოვი ⁊ ბ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულის

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო, კასტორი, დიაგონალი, ჩესტნა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემაზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ჟივერონი, ლომბრტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисское агентство русскаго общества параходства и торговли симъ объявляетъ, что 31-го мая сего 1913 года въ складѣ его, на углу Воронцовской и Пушкинской улицъ, въ домѣ Бр. Гокіелавыхъ, будутъ продаваться съ аукціоннаго торга мануфактурные товары, прибывшіе изъ Москвы по коносаменту отъ 29 сентября 1912 года за № 2348, всего двадцать пять кипъ, и непринятые грузохозяиномъ въ установленный §§ 809 и 890 уст. общ. срокъ.

Желающіе торговаться могутъ осмотрѣть продаваемые мануфактурные товары въ агентствѣ ежедневно съ 9 до 12 час. дня.

განცხადება.

რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების ქუთაისის სააგენტო ამით აცხადებს, რომ 31 მაისს ამა 1913 წელს ვარანცოვის და პუშკინის ქუჩების კუთხეზე, ძმათა გოკიელების სახლში, სააგენტოს საქონლის საწყობში, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**; გაიყიდება ფართლეულობა, რომელიც გამოგზავნილია მოსკოვიდან 29 სექტემბერს 1912 წელს კონოსამენტით № 2348 და რომელიც პატრონმა საზოგადოების წესდების §§ 809 და 810 ძალით დანიშნულ ვადაზე არ გამოიყიდა.

ვაჭრობის მსურველთ გასაყიდი საქონლის დათვალიერება შეუძლიათ ყოველ დღე 9 საათიდან შვიდის 12 საათამდი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საჭიმო ვარჯიშობით, ელექტრ შესაშაუნებელი წამოით და ესპრ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ ბიწითლეს, ნაყვაველებსა და სახის ყოველგვარ ავათყოფობას. აგრეთვე უცრო ყველისაც.

გენერლის ქუჩა აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

აქიმი 3. ი. ფეშინი ქირურგიუ ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპტლის ქ. გვახარიას სახლი.

აქიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ათი აპრილიდან ღებულობს ავათყოფებს (შინგანი, ვენერიული, ქანს) ბაღ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, ფოთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

აქიმი ი. ჩარქოვი

აცხადებს რომ იგი ადარ ასრულებს სანიტარო აქიმის თანამდებობას, რადგან დაინიშნა ქალაქის ახალი საავთმყოფოს **კანის და ვენერიულის განყოფილების მართველათ.**

ФАБРИКИ АЗНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ

ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ

ЦѢНА 25 шт. 15 к. 10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.

ПАПИРОСЫ

ГОЛУБКА 10 шт. 3 коп.

ФАБ-РИКИ А. АЗНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ

ЭКСТРА

15 шт. 5 коп.

ФАБРИКИ А. АЗНФІАДЖІАНЦА

დღიური.

— ლონდონში ელჩთა თათფირზე ბალკანეთის მოკავშირე სახელმწიფოებმა და ოსმალეთის დელეგატმა მშიდობიანობის ქალაქს ხელი მოაწერეს.

— სერბიაში მგზავრთა მატარებლების მიმოსვლა შეწყდა და მხოლოდ ჯარი გადაყავთ.

— სტამბოლს ქიამილ-ფაშა მოვიდა.

— სომხეთში სომხების დასაცავათ ევროპის ოსმალეთიდან ორი დივიზია ჯარი იგზავნება.

— ბულგარეთმა დიდ სახელმწიფოებს ნოტა გაუგზავნა, სადაც სწერს: საბერძნეთისა და სერბიის ჩხუბის საქმეში დიდ სახელმწიფოების გადაწყვეტილებას დავმორჩილდებით.

— ცნობაა—კავალაში ბულგარელებმა საბერძნეთის ნაომოსანი გემი დაღუპესო.

— საბერძნეთის ელჩმა მთავრობის სახელით სთხოვა ბულგარეთს: სალონიკში ჯარის შემოყვანა შეაჩეროო

— ოსმალეთმა დიდ სახელმწიფოებს განუცხადა: ვიბრძოლებ საბერძნეთთან, თუ მან დარდანელის სრუტესთან მდებარე კუნძულები დაიკავაო.

— ვენაში ცნობა მივიდა: ბულგარეთი სალონიკის ბედის გადაწყვეტას დიდ სახელმწიფოებს ანდობსო.

— მალისორებმა მთაშავეთის მეფეს სთხოვეს: მთაშავეთის მიერ დაპყრობილი მამული გასწმინდეო.

— ავსტრიის ჯარში არეულობაა.

— ოსმალეთი საფრანგეთთან მოლაპარაკებაში ინგლისს შეამდგომლობას სთხოვს.

— პეტერბურგში ფარმაცევტთა კრება გაიხსნა. კრებას ას წარმომადგენელზე მეტი დაესწრო.

სახელმწიფო სათათბირო.

18 მაისის სხდომა.

თავჯდომარეობს **ვოლკონსკი**. განაგრძობენ მსჯელობას ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. თავადი **სვიატოპოლკ-მირსკი** ორ საათს ლაპარაკობს და გამოსძენის იმ აზრს, რომ ჩვენი სოფლის უბედურება მისი ჯოსტურ მდგომარეობაში საოფნაო. დასავლეთი ევროპის კულტურა ჩვენში ყალბათ გაიგეს. მე-60 წლების რეფორმები ჩვენში იქიდან გადმოინერგა. ბატონყმობას რუსეთში, მიუხედავათ მისი მცირე ხნის არსებობისა, კეთილშობილური სახე ჰქონდაო. მან გაწვრთნა გლეხობა, შეაჩერა წეს-რიგის ასრულება და მისცა მემამულეებს ცხოვრების მიზანი. ბატონყმობის მოსპობამ დაღუპა მემამულეები და დაღარიბა და დასცა ეკონომიურათ გლეხობა. ბატონ-ყმობამდი გლეხებთან მემამულეები დაახლოვებული იყვნენ. ბატონ-ყმობას შემდეგ კი გლეხობას საბაზრო პოლიცია დაუახლოვდა. საერობო უფროსების ინსტიტუტის ცხოველ მუფელი იდეა ცუდათ გამოიყენეს. სოფლის გაღონიერების საქმეში ხელმძღვანელობა საერობო უფროსებს ხელიდან გამოაცალეს. ამ ბოლო დროს ეს ინსტიტუტი ისეთ ხასიათს იღებს, რომ ის ხელს უშლის ადგილობრივ ინიციატივის განვითარებას. ამ ინსტიტუტის გაუქმება საჭიროა. ამ ინსტიტუტის ნაცვლად ორგანიზაცია უნდა შეიქმნას, რომელიც ადგილობრივ ინიციატივას მიეცემა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ინტელიგენციას უნდა ჰქონდეს. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ინტელიგენციას უნდა ჰქონდეს. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ინტელიგენციას უნდა ჰქონდეს.

გლეხობას არ უნდა მივაკუთნოთო, გლეხობა კულტურულ მდგომარეობის, მხრით იმ გვარ მდგომარეობაშია რომ მას აქ საქმის ასრულება არ ძალუძს. ამ როლს ვერც სოფლის მოხელეები შეასრულებენ. ის უნდა შეასრულოს სამხრო პოლიციამ, ნაციონალურ საფუძველზე გადაქმნილმა. სიტყვას ოროტრი დასკვნას ვერ უკეთებს, რადგანაც განსაზღვრულ დროზე მეტი ილაპარაკა. **მილიუკოვი** ერთ საათს ლაპარაკობს და ახასიათებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკას. ის ეხება ნაციონალურ და სარწმუნოებრივ საკითხებს. ნაციონალური ლოზუნგის გამოცხადება, რუსეთი ერებს შორის წაგვიყვანს დიდ უთანხმოებამდე. ხალხს ძალზე შეგვიწროებიებს—ამ ლოზუნგის სუსხი პირველათ ებრაელებმა იწვნიეს. ნაციონალისტების პოლიტიკამ რუსეთში ნაციონალური საკითხი მეტათ გაამწვავეო. ეხება ბალანეთის ომს, ამ ომის საკითხში კადეტების პოზიციას, აღნიშნავს სხვადასხვა ერთა ნაციონალისტების ჩხუბს და ამბობს—შინაგან საქმეთა მინისტრის პოლიტიკა დამხობის პოლიტიკას წარმოადგენს და კადეტები ამ სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების წინაღმდეგი არიანო." (ხანგრძლივი ტაშის ცემა მარცხნით.) **კერენსკის** სვიატოპოლკ-მირსკის ახრი მართებული კლასის ბრალი მიაჩნია. ის ეხება გლეხობის მდგომარეობას და ამბობს: უნდათ თქმის გაუქნება, მაგრამ თქმა ის ზომები ვერ მოსპობს, რომელსაც დღეს ღებულობენ მის გასაუქმებლათ. თქმის წინაღმდეგ ბრძოლა დღეს იმით გამოიხატება, რომ გლეხებს ასობით ასახლებენ სხვადასხვა გუბერნიაში, აძლიერებენ „ოხრანას„ და სხვა. ასახლებენ არა იმ გლეხებს, რომელნიც თანამედროვე წესწყობილების წინააღმდეგ ილაშქრებენ, არამედ იმათ, ვინც გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იბრძვის. ეხება ამასთანავე მუშათა პროფესიონალური კავშირების და ორგანიზაციებს და განაგრძობს: რუსეთში მცხოვრებ უცხო ტომების და მათ შორის უკრაინელების მიმართ იმჯვარ პოლიტიკას აწარმოებენ, რომ არ აძლევენ თავის თავის ცნობიერებას, ხელს უცარავენ დემოკრატიაში თვით შეგნების შეტანას საქმეს და სხვა. (ტაშისცემა მარცხნით) **მარკოვი მეორე.** ყველა ის, რაც კერენსკის სთქვა რა მართალი იყოს, რუსეთში ცხოვრება შეუძლებელი იქნება. არც მილიუკოვისაა მართალი, როდესაც ამბობს, ვითომც ჩვენ უკიდურესი მემარჯვენენი ნაციონალისტურ გრძნობას მოკლებული ვიყოთ. მემარჯვენენი ნაციონალიზმს სხვა პრინციპებზე მაღლა აყენებენ. მათ სიტი რომ სწამთ-სარწმუნოება, მეფე და რუსეთის ხალხი. მილიუკოვი სიმართლეს იქცევს გვეუბნება, როდესაც ლაპარაკობს რუსეთში ებრაელების დევნის შესახებ. ყოველი ერი თავის ცხოვრებას იცავს. ებრაელები ამ მცენარის მზგავსი არიანო, რომელიც სხვა მცენარის წუენით იკვებება. ებრაელებს იქიდან ასახლებენ, სადაც ისინი ანომის არღვევენ, (ტაშისცემა მარჯვნით) **გელოვანი**—ახასიათებს კაეკასიის მეფის-მოადგილის პოლიტიკას და იმ დასკვნამდის მიდის, რომ მის წინაღმდეგ მემარჯვენეების გალაშქრება და ბრალდება, ვითომ ის ლიბერალი იყოს და ადგილობრივი ხალხის განვითარებას ხელს უწყობდეს, მეფის—მოადგილის მოღვაწეობის გაუგებრობათ მიაჩნია. მეფის მოადგილის პოლიტიკა ეს რუსეთის საშინაო პოლიტიკის გაგრძელებაო. მათ შორის თუ არის განსხვავება, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეფის მოადგილე თავის პროგრამას ფრთხილად და დაკვირვებულათ ასრულებს, ვიდრე სხვა ადმინისტრატორები. შვიდი წლის წინათ მეფის მოადგილის მიერ დაპირებული რეფორმები დღესაც განუხორციელებულა, ადმინისტრატორულსა და სასამართლოს თანამდებობაზე „ტუზებს„ არ ნიშნავენ, ანტიგონისზის პოლიტიკა სხვადასხვა ერთა შორის ძლიერდება. ასეთი პირობების წყალობით კაეკასია ჩამორჩენილი მხარეა, მიუხედავად იმისა, რომ ის ბუნებრივი სიმდიდრით უხვათ დაჯილდოებულია. კაეკასიის საქმეები უარყოფარ მიდის და ეს მაწანწალა გაგმეულდება, სანამდი მას ატონომიური მართვა-გამგეობა არ მიენიჭება. მამა **ლიცვენიჩი** ეხება ჩრდილოეთ დასავლეთ მხარეში კათოლიკების დევნას.

ხარკთ-აღრიცხვაზე მსჯელობა სწყდება. ფინანსის მინისტრისადმი კადეტების შეკითხვას ლებულობენ. შემდეგი სხდომა ორშაბათს.

ახალი ამბავი

— როგორც ვიცით, მეფის მოადგილემ ადგილ-მამულების ახალი აწერილობის და შეფასების შესახებ სახ. სათათფირო კანონ-პროექტი წარუდგინა, რათა უფრო სამართლიანად განაწილდეს ადგილ-მამულო გადასახადი. ეს კანონ-პროექტი ამ ჟამათ სათათფ. ფინანსიურ კომისიაშია, სადაც მომხსენებლათ აურჩევიათ დეპ. ვ. გელოვანი. გახ. „კავკაზში„ დეპუშია დაბეჭდილი, სადაცაც სჩანს, რომ ხსენებულ კომისიას, გელოვანის მოხსენების თანახმად, ამ პროექტის წარ-

ზებული კარში გავარდნილა, რის გამო მასის მიერ ბევრჯერ საყვედური დაიმსახურა. სწავლაში ივიათი ნაწის პატრონი იყო; კერძო წოვნებს, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებს, საოცარი წყურვილით ეტანებოდა ამასთანავე, თუ ხელში ჩაიგდება პოლიტიკური შინაარსის თხზულებას, ისე გულმოდგინეთ დაეწაფებოდა, რომ დაღლას ვერც კი იგრძნობდა. ამის მეოხებით, რასაკვირველია, ისე გამდიდრა ენა, რომ მის ლაპარაკს ყურს ვერ მოაშორებდით. სასწავლებლის დამთავრებას შემდეგ მამა ხშირათ ჩამოუგდებდა საუბარს შესახებ გათხოვებისა. მაგრამ ტასო უარყოფით შენიშნავდა ხოლმე: „მე მეტათ ვფიქრობ სიყვარულზე, ვიდრე გათხოვებაზე„ და როცა ზეგის ვერ გაერია ერთი შეორისგან-„სიყვარული და გათხოვება„ — უეცრათ მოაშორებოდა და უფრო შესაფერ დროს ეძებდა მის „ჯერის ჩასაგონებლათ„; ტასო კი ყოველთვის სიტყვას მოუკრიდა და გაისტუმრებდა— ხოლმე.

ყოველ თავისუფალ დროს ის „გლეხთა„ შვილების სწავლებას ანდომებდა, როცა მისი უმცროსი და „ავადლერეობით„ ცხენებით დასეირნობდა. როცა გამთავისუფლებელი მოძრაობა შემოიჭრა, ტასოს აღტაცებას სხვანაირი დაეკარგა-და მხურვალე მონაწილეობა მიიღო დიად საქმეში, განსაკუთრებული თავისუბურობა გამოჩინა და არ მიბაძა „მოდით გასოკიალისტებულ„ ქალთ.

ამ დროს ჩაესახა მას თავგანწირულ გასოსადმი სიყვარული, რაც მამას დადახნა-ირ გაუგია. ვასო ძლიერ ღარიბი და ჯერ-ჯერობით ვერ გადაეწყვიტა ტასოს მოტაცება, მით უმეტეს, რომ იმედი ჰქონდა ცოტა ხანს შემდეგ სახსარს გაი-ამგრებდა... მაღე ბნელ ძალთა ბრძოლა „გაიმარჯვა„ და დღენი სათავგადასავლოს შემოდგომიდი გადადუღნა. დეპ. გელოვანი კანონ-პროექტის სრულს ფარფოფას ურჩევს სახ. სათათფირისათ.

◆ ქუთაისის საადგილ—მამულო ბანკის 5 პროც. გირავნობის ფურცლებს აფასებენ პირველზე 79 მ. 15 შაურათ; აძლევენ 79 მან 2 აბაზს.

◆ დორპატელი ქართველი სათვისტომო დებეშით გვაცნობებს, რომ 19 მაისს აქ ტრაგიკულათ გადაცვლებულის დაც. ქეღუტის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაუხდიათ!

◆ ქუთაისში ჩამოვიდა და 20 მაისიდან შეუდგა სხვადასხვა სისხლის სამართლის გარჩევას თფილისის სამოსამართლო პალატის სესია. პალატა ქუთაისში 24 მაისამდი დარჩება.

◆ ქუთ. ოლქ. სასამართლომ 18 მაისს გაარჩია ათ. გოლეგიანის საქმე. მას გრაფლებოდა ქალის ძალათ გაუპატიურება, სასამართლომ ციხისგან ახადა მას და ორი წლის გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა.

◆ სოფ. კუხში გაუტეხიათ გერ. ეკატრიძის დუქანი და საქონელი გაუტანიათ.

◆ ამ ჟამათ, თავდაზნაურთა კენჭიყრის მოახლოებასთან ერთად, ბევრი საყვედური ისმის იმის გამო, რომ კენჭის უფლება ბევრს უსამართლოთ ერთმევა, სიიდან გამოურიცხავთ ისეთებიც, ვისაც სრული უფლება აქვთ კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღონო.

◆ მომავალ შაბათს, 25 მაისს ქუთაისის ქალაქის თეატრში გედევანიშვილი ცნობილი პიესის—„გამეცინის„ უმთავრესი გმირის, შაქროს ლიტერატურული გასამართლება მოხდება, მონაწილეობას მიიღებენ: დად. კლდიაშვილი, კიტა აბაშიძე, ალ. ჯაბადიძე და სხვა.

◆ ბალახვანის ქუჩის ერთი შესახვევი, რომელის გაგძელებას აგრეწოდებული ქარლის დალმართი შეადგენს, განსაკუთრებით ზამთარა გაავდრების დროსაც. ნიაღვარი ამ დალმართიდან მოასკდება და ფენებას, ქუჩა მეინარეთ იქცევა და ეზოებშიც შედის. ამის თაობაზე ფრიც ცწერდით და ახლაც შემოგვჩივიან აქაურე მოსახლენი. ის დალმართიდან რო თხრილი გაიკრებოდეს ბორანისაკენ ღვარი რიონს ჩაეთვოდა პირდაპირ და მცხოვრებნი ასეთ ლმობდნენ ჯარალსა და ხიფათს. ქალაქის მამებმა უნდა მხაქცონ ყურდღება ამ გარემოებას და დროით იზრუნონ, სანამ უბედურება არ დატრიალებეთ

◆ რედაქციამ მიიღო ურნალი „განათლების„ მორიგი, მაისის ნუმერი. ურნალში მოთავსებულია: ლ. მოკვაძის, აქიში ბ. მიქელაძის, ი. ფერაძისა, ატრტურ ვასოკ მალულათ იძულებული გახდა ეცხოვრა, ამის გამო ხომ შეუძლებელი გახდა მათი დაქორწინება. როგორც იქნა ოპოვა ზეგრამა მისთვის „შესაფერი საქმრო და ტასოსაც გაუზიარა, მაგრამ მან ქალის, არა ჭეფულებრივი უარით მოაშორა მამა. ბოლოს ზეგარი იძულებული გახდა ამ „სახელოვანი კაცისთვის„ უმცროსი ქალიშვილი მიეთხოვებინა. როცა გამოაცხთხა ტასოს მიერ უარის მიზეზები, მან—გაიგო ახლად გათხოვილი ქალისაგან მისი განზრახვა, რამაც დიდი სისასტიკე გამოიწვია. ძალიან უშვერათ დაუწყო ტასოს მოპყრობა და ბოლოს, ზეგარის სიმკაცრემ როცა საზღვარს გადააჭარბა, ტასო იძულებული გახდა მოშორებოდა მას და ვასოსათვის მიეშურებინა—როგორც მასთან ეცხოვრა. ვინ დაინდეს, რომ ვასოს დაინდობდნენ! ის მაღე გასცეს და ხუთი წლის ვადით გადასახლეს . აუწერელი შეიქნა ამ დროს მამის მიერ გაოსხული ტასოს მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ ფეხმძიმეთ დარჩენილს შრომაც არ შეეძლო და ვინ იცის, რა დაემართებოდა, რომ მაია მონაზონი არ ასჩენოდა. ნათესავები მკვდრათ სთვლიდენ ტასოს. „ამხანაგებიც„ „საპროთო„ მოდგენწენი აღმოჩნდნენ, ყოველივე რწმენას და გულშემატკივრობას მოკლებულნი. ერთ იმედით კიდევ ილიკო მიაწნდა ტასოს და აკი ეს არის ამ უკიდურესი გაჭირვების დროს მიეშურება, რომ მის მიმართოს დახმარებისთვის.

სიკვილისაგან გალურჯებული ტასო ილიკოს სახლის ივანაზე სდგას.

—ილიკო! შინა ხარ?

კარი გაიღო და ილიკოს განცვიფრებას საზღვარი დაეკარგა...

—ტასო! შენ?.. ამ სასოკარ ავდარში! მობძანდი, მობძანდი!..

ოთახში შევიდენ. ბუხარში ცეცხლს გუზგუზი გაჰქნდა. თფილოდა.

—მოიხადე, ტასო, შალი და ცეცხლთან ახლოს... ძალიან ცივა! მიაწოდა სკამი ილიკომ.

ილიკო შეძლებული გლეხის შვილი იყო. ვასო და ის სემინარიაში სწავლობდენ და იმ დროს მიენებებოათ თავი, რომ დასრულებას ორი წელი უკლდათ. მხნეს და ძალღონით სავსე ახალგაზდებს ამხანაგობა ქონდათ, ჭირსა თუ ლხინში ერთმანეთს არ სცილდებოდენ. როგორც ვასოს, მასაც შემთხვევია დაეხარა დედმამის სიცოცხლეში, როგორც პოლიტიკურათ საეჭვო პირს, მაგრამ მშობელთ უსატრონებათ და დღეს, ახალ—დაქორწინებული, ნივთიერათ უხორცესულოფილა.

—მართლა ხარ, ილიკო!.. სადა გყავს ოჯახობაზე?..—დაეკითხა ტასო.

—მამასთან წასვლა მოისურვა ცოტა ხნით!..

—როგორც გადმომცეს, შესაფერი ამხანაგი მოგინახავს!..

—ასე... ჭკაფოფილი ვარ!..

—მაშ შეგიძლია მოგილოცო...

—გმადლობ!..

—მზითვიც აიღეთ?

—ცოტა!..

—არა გრცხვენია, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მნახე, ილიკო? ჩემი მდგომარეობა რათ არ გაიგე?

—ღიმი ვარ საყვედურისა, ჩემო ტასო!... შენც კარგათ იცი, რომ რამდენიმე თვეს დაეპირები ვიყავი!.. მერე კი მყუდროება არ დაურღვიო მეთქი—და მოგერიდე!

—რას ამბობ, ილიკო! შენი მოსვლით განა მყუდროება დამერღვევოდა?

—კმარა... ტასო, საყვედურით! ვასოსგან წერილი არ მოგვსულა?..

—ორი თვეა არა ვიცი, რა შეეპარა ზედიზედ ვერ მიიღო—რა საკვირველი—ვერ წარმოიიდგენ, ილიკო, წერილი რა ნუგეშია ჩემთვის!... ასი ნია—თვითონ მყავდეს აქ!..

—ცხადია!... მარა რავუყოთ! ამ ვასონათ...—რაღაც უნდა ეთქვა ილიკოს, რომ უცბათ შესწყვიტა.

—რა იყო ამას წინათ?.. ვასოს ლი ხომ არ მიგიღია?

—არა... ისე... ამას წინათ... ჩამოსული კაცი ენახე და ცხოვრობები იქაური მიქო!...

—ეჰ! ილიკო! ბევრი ვაი—ვაგვიანე მას შემდეგ, რაც ვასოს შორს... და როგორც იქნა—აუ ვიტანე! აწი კი ალარ ვიცი, რა ნება ჩემი საქმე: ზამთარი იწყება და ყოველგვარ საარსებო საშვალებას ლებულა ვარ!..

სიჩუმე ჩამოვარდა. ილიკო ხელ დაყრონილი ცეცხლს ჩასცქერო

—მაშ ასე, ტასო!—ასწია თავი კომ,—გართობას ეძიებ!.. მაგრამ წუხენებ, რომ მრავალფეროვანი ცხ ბა ადამიანს სეედას უქარწყლებს...

—მიკვირს შენგან, ილიკო, ასე ტყუვები! ვისთან უნდა გაეკრთო, ა მცალია გასართობათ!

სიჩუმე ჩამოვარდა.

ტასოს მოყვეწრობა ეტყობოდ ხან შინ დროზე წასვლა უნდოდა ახერხებდა იმის თქმას, რისთვისაც ლიყო...

—სხვა, ილიკო! როგორ მიდის როგორია ხალხის სულიერი მდ ობა?..

—ეჰ! ნუღარ მკითხავ! ხალხი

...ჩილის საქმე...

...ვნებაში.

...ში წარსულ წერილში გწერდით, ...ში დაეცა არჩილის საქმის მო... ...გმების თავჯდომარე მოელაპა... ...ურეტებს და „სალამო“ 21 (8) ...ს გამოაცხადა. ამ დანიშნულ ...ს საოხუნჯოშოს წევრებს, მა... ...ლებით მიმართულების მომხედრები... ...ათია და მაინც არსადა სრანან ...ს ს. იყო დანიშნული). ბოლოს ...ი, რომ ისინი არ მოვლენ და დე... ...ტატეთან სინემატოგრაფში თუ ...ვნენ.

...ნენ წინა წერილი წაიკითხა, ...ე შეგვეკითხება და გვეტყვის—თი... ...ბაძან ერთხმად იასონა არჩილის ...ებით საღამოს მოწყობა? კი, ბა... ...ხმით დაადგინა კრებამ, მაგ... ...შეიქვ მდგომარეობა შეიცვალა: ...ბაქოს „წყაროს“ მარგალიტე... ...ე ეუნველმა სანდონებმა, ესენიც ...ეტრენ და, აი, ვითომ მიზეზიც ...ა საღამოზე აღარ მობრძან... ...ებით, ამა ახლა დემონსტრანტ ...ებს—რათ არ ინებებს და რათ ...ებენარეს ამ საღამოზე თავიან... ...ებით? ოო, ამის საბუთი თურმე ...ა წარმოიდგინეთ ისინი შეუ... ...ნი ყოფილან იმითი, რომ თა... ...ათ საათისთვე არ ჩამოუარა, არა ...ა არ უთხრა მათ:—გაიღეთ ბა... ...ნენ და წარმოსთქვით სიტყვანი. ...ა აშკარებული ყოფილან კი... ...ი, რომ თურმე გამგეობის ორი ...ისა არ შეეთხებია და ლიტ... ...ა არ ეთქვა მათ:—გაიღეთ ბა... ...ი ხალხი. მიეხედავთ ამისა, თავჯდომარემ მაინც აფრთოვანებით წარ... ...ა სიტყვა. გადაელო რა თვალი მეცხრამეტე საუკუნის მამულიშვილთ, გადავიდა განსვენებულ არჩილზე, რომელ ზედაც უფრო მეტ ხანს შეჩერდა. სიტყვა გაათავა იმითი, რომ „იმედია რეფერენტები უფრო ვრცლათ შეეხებიან დიდებული მამულიშვილის მოღვაწეობასა“. ჩვენც იმედი გვქონდა, რომ რეფერენტები უფრო ვრცლათ გვეცნობიდენ არჩილის პიროვნებას, მაგრამ იმედები არ გვიმართლდა. სულ იყო მეტადრე პირველი რეფერატი. რეფერენტს უნდა სცოდნოდა, რომ რეფერატივის არ ქმაროდა „სახ. გაზ“-დან ამონაწერი მეშის წერილი და რამოდენიმე ტაეპი არჩილის ნაზარევი. რეფერენტი ამბობდა: „მიყვარს სპეტაკი მეშაკი, მიყვარს ეს დიდი ადამიანი“. ჰო და რომ უყვარს ეს დიდი ადამიანი, დიდი დროც უნდა დაეხარჯა, უკეთესათ უნდა მომზადებულიყო და ფართოდ გაეცნო მართლაც ეს დიდი ადამიანი.

ვერ დაგვკმაყოფილა ვერც მეორე რეფერატმა. იმ ბეჭედით მამულიშვილს კი, რომელმაც საქართველო კვლავ საქართველოთ გამოაცხადა და მის სამსახურში დალია სული, მეტი პატივისცემა, მეტი ყურადღება ეკუთვნოდა ჩვენგან.

რაღაც უცნაური მიზეზების გამო მესამე რეფერენტსაც მხოლოდ იმ სადამის გახსენება უყარ მოსწენების წაკითხვაზე.

ასე ამგვარათ უშთათ, ულაზათოდ, ჩაიარა ჩვენი უკეთეთი არჩილის საღამომ.

აქვე ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა კიდევ სტუდენტების ჟურნალზე.

როგორც ვიცით „ჯოლიდის“ 25 მაისს. დესანიშნავია, საიდანაც ჩვენ ვტყობილობთ, რომ პატრონები გადაეწყვიტა ჟურნალის გამოცემა და თანამშრომელთ მიუთითებენ თავიანთ მისამართზე. ამ გვარათ, თუ აჭამდე ერთიც არა გვქონდა ახლა ერთი შეხედვით კაცს ორიც მოეჩვენება. ჩვენ კი ვშიშობთ კი თუ ორის მოლოდინენი ერთსაც ვერ ეეღირსოთ (სხვათა შორის, თქმა არ უნდა, რომ ერთი ჟურნალი სრულიად საკმაოა) ვაი, თუ ორივე სარდაქციო კომისიებს დიდხანს დასჭირდეთ მასალებისთვის ცდა. ამიტომ საჭიროა ახლავე დროზე გამოიკვეს, თუ დანაშდვილებით ვინ ამირების ჟურნალის გამოცემას. აშკარაა ერთ ერთმა უნდა დაუთმოს თავის მასალებიც იმას მიაწოდოს, რომელიც უფრო მკვიდრ ნიადაგზე იწყება. ვიმედოვნებთ, რომ პასუხს მალე შეგვატყობინებენ პრესის საშუალებით, რათა მთავლება თანამშრომელმა იცოდეს, სად და ვის მიაწოდოს მასალები.

ქვისეგა. შაისი. თეთრი.

დეპეში.

საზღვარ გარეთი.

ლონდონი. „რეიტერის“ ცნობით ელჩთა თათბირის სხდომის განსხილვის ხუთ წამს შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულობაზე მებრძოლმა მხარეებმა ხელი მოაწერეს. ამ ხელის მოწერის გამო გარიმ დელეგატებს მადლობა გადაუხადა და თავის ვრცელ სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა: სულით და გულით ვისურვებ— ამ ხელშეკრულების ყველგან შვიდობიანობა დამყარებოის, ვისურვებ— ყოველ ხალხშეფის თავის ხალხის ეროლდღეობა მაღლა აეყვანოს. სამეძრძოლის დელეგატმა სულფულისმა, როგორც ყველაზე უხუცესმა, მადლობა გადაუხადა დიდ ბრიტანის მეფეს და ამგრძავიე მადლობა უთხრა გრეისაც.

„რეიტერის“ სააგენტო იწერება:— მარათალი არაა, ვითომ ინგლისის მეფე ამ ზაფხულს რუსეთს წასულს ეპირებოდეს.

შვიდობიანობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას შემდეგ დანეეშა სთქვა: დელეგატებს ძვირათ დაუფდათ და ბევრი შრომაც დახარჯეს მათი უკანასკნელი მოვალეობის შესრულებისათვის. ბალკანეთის სახელმწიფოთათვის 17 მაისი ისტორიულ დღეთ ჩაითვლება. ამ დღეს შემდეგ გუშინდელი მტრები ერთმანეთს ხელს გაუწვდიან და წარსულში რაც მოხდა— დავიწუებას მისცემენ. ამას შემდეგ დანეეშა გრეის მიმართა და როგორც შვიდობიანობის ერთგულ მომხრეს და მსურველს მადლობა გადაუხადა. მთავშავეთის წარმომადგენელმა პოპოვიჩმა განაცხადა: მთავშავეთის წარმომადგენლები კმაყოფილი არ არიან იმ ხელშეკრულებისა, რომელზეც იძულებული არიან ხელი მოაწერონ. მთავშავეთმა სკუტარი უფრო ინგლისის მეობებით დაკარგეა. დელეგატებს იმედი აქვთ—ინგლისი აღბანეთის სახელგრების შეცვლას მთავშავეთის სასარგებლოთ მოახდენს. ბოლოს დანეეშა სთქვა: ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გარდა, დელეგატებმა დამატებითი ოქმებიც უნდა მოაწერონ ხელი: ამ ოქმზე ხელის მოწერას შემდეგ შეეა ხელშეკრულება ძალაშიო. ცნობილ, მთავშავეთის და სბერძნეთის დელეგატებმა განაცხადეს—დამატებით ოქმის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცითო. გადაწყდა ელჩთა თათბირის შემდეგი სხდომა 20 მაისს მოხდეს. „რეიტერის“ ცნობით დელეგატები ლონდონში დიდხანს არ დარჩებიან

ბერლინი. გერმანიის ბანკების კონცეციუმმა, პრუსიის საიმპერიო ბანკის ხელმძღვანელობით სახელმწიფოს 175 მილიონი მარკა ასესხა. სახელმწიფომ ეს ფული 1935 წლამდი უნდა გაისტუმროს, ამ ფულით განზრახულია რკინის გზების გაყვანა.

„რეიხ სტაგში“ არჩევენ სოციალისტების წინააღმდეგს, ელზას—ლორენის პრესის და კავშირების წინააღმდეგ სასტიკი კანონების გამოკეების შესახებ. იმპერიის კანცლერი თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ პროვეტი ჯერ საბედნიეროთ არ გამოკვეცნებულაო და ებება ელზას—ლორენის მცხოვრებთა ნაციონალისტებს.

სოფია. ოფოლოხი „მირი“ სწერს: პაზიჩმა სკუპჩინაში განაცხადა: ერთმა სახელმწიფომ ურჩია სერბიას, რომ ადრიატიის ზღვის ნაპირებზე ხელი აეღო. ავსტრო-უნგერთმა განაცხადა ეს სახელმწიფო მე არ ყოფილვარო.

ბელგრადი. გაზეთი „სამოუპრავა“ შვიდობიანობის ქალაქებზე ხელმოწერის გამო სწერს: სამოლოო მშვიდობიანობის ქალაქებზეც მალე მოკაწერთ ხელს. ამ შვიდობიანობას [illegible] დაპყრობილ მიწელი გადაეცემა ბით. სასურველია, [illegible] მხედველობაში მიიღონ [illegible] რა სამხედრო სამსახურა გასწია.

პაზიჩის და გეშოვის პირადათ შეხვედრა სხვა დროისათვის გადაიდვა.

რომი. პარლამენტმა სამხედრო ბეგარის შესახებ კანონ—პროეკტი მიიღო. სამხედრო ბეგარის მოხდის დრო ორი წლითაა განსაზღვრული. ეს რეფორმა ჯარს 30 ათას კაცს შემატებს.

სოფია. „მირი“ აცხადებს, რადგანაც აჭი ბულგარეთს ოსმალეთთან სახიბერი არაფერი აქვს, იგი ვალდებულია ოტომანის იმპერიის ხელშეუხებლობა დაიცვას, ოსმალეთის ავიერებსა, რომელნიც სოფიაში ტყეეი არიან წაყვანილი მშვიდობიანობის ჩამოგდება იდღესასწაულეს.

ვენა. იანვრიის ჯამშეობისათვის 20 წლის კატორგა მიუსაჯეს.

რომი. დეპუტატთა პალატაში მშვიდობიანობის შესახებ ხელშეკრულობაზე ხელის მოწერას დაეხა, დეპუტატმა ვალდა განაცხადა: არ შეცდებიან მოკავშირეები, თუ ჩვენ ბალკანეთის სახელმწიფოთა თანამშრომობაში მივიღებენ. პალატის პრეზიდენტმა მარკორმა სთქვა: ჩვენი სურვილია ბალკანეთში მტკიცე მშვიდობიანობა დამყარდესო. პალატის პრეზიდენტმა გარეშე საქმეთა მინისტრს სთხოვა; მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადე გრეის სომეთა საკითხის თანაგრძნობისათვისო. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა: მთავრობა გაეცნო სტამბოლის უკანასკნელ ამბებს და დარწმუნდა, ოსმალეთში მშვიდობიანობა მაინც დამყარდება, რომელსაც სომეთა საკითხი გადაწყვეტებაო, იტალიის მთავრობა რეფორმების განხორციელებაში პორტას დახმარება:

სტამბოლი. ოსმალეთის პრესა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო აცხადებს: სამარცვინო ხელშეკრულება ოტომანელთა სინდისს მძიმე ულელათ დააწვებაო. პრესას იმედი აქვს, რომ მთავრობას ძალას არავინ დაატანს კონტრიბუციის გადახდაზე.

სომეთა ნაციონალურ საზოგადოების კრებას ოსმალეთის პროვინციის 80 წარმომდგენელი დაესწრო. კრების თავჯდომარე გახდა ბაზიანი: —მიუხედავად დიდი ვიზირის დაპირებისა, სომეხთა წინააღმდეგ ძალმომრეობას 70 შემთხვევა მოხდაო. პატრიარქის სამჭის მიერ 15 დღის განმავლობაში შეიმუშაოს წესები იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგენ სომხები.

...ოფილა, ჩემო კარგო, განსაკუთ... ...ლი ლაჩარი. მეც ისე დამეკარგა მა... ...ი, რომ ბაბილონის გოდოლის ...ეწევის ეიფელის და მაგათი გა... ...ობერება უფრო ძნელათ მიმაჩნია!.. ...ი, ილიაო! განა ცოტა მოიპო... ...ში გაითვისნობიერებული?.. ...ნაკულისებზე ხომ იმედებს ვერ ...ებთ!.. ...ი ჯერ მთის მწვერვალს მიადგება ...ა შემდეგ ჭოობსაც არ სტო... ...ადღებით!.. ...ი მართალია, მაგრამ ვეჭვობ მაინც!.. ...ონია, ჭკუანიც ის პირი, ვინც ...ვეს. თავის პირად ბედნერებაზე ...ნეოს, ეიდრე ხალხის კეთილ... ...ე .. სიცოცხლე უამისოთაც წუ... ...თ, თუ გულით ლაპარაკობ მაგას? ...ტასო. ...ი ხომ ჩემო კარგო!.. ასეა!—ღი... ...უპასუხა ილიამ. ...შენ ხუმრობ, შე კაცო, და მე ...ნები დამეშართა!.. ...ნებოთ თავი მაგებს!.. შენ კი ...ტასო, როგორ კმაყოფილია ...თავისი ქმრისა? ...ნან! რაც უნდოდა—ის შეხედა, ...ელი ახნაურია!.. ...გვარია? ...ტეტყეც! ...გვარი დამხახილითებელი ხომ არ ...ი? ...ნებ!.. მაგრამ რა უშავს? ...ტასო ძალიან კმაყოფილია, ...ს არ ინანა! ...ია... შეეჩვევი!.. შენ ხომ ...ა დაეხმარებია? ...ო, სრულებით ვერ გეცნობი... ...შენ... ფლიდს, როგორც თურ...

დასელი დამართლა არ შეეკითხენ? ამის შესახებ პირადათ ჩვენც შევეკითხეთ თავჯდომარეს და ვეუხარათ, რომ თუ მართლა ისიც არ მოგიწვევიათ გამგეობის კრებაზე დაგიშავებათ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ გაბუტულ გამგეობის წევრსაც და მეორესაც თავჯდომარისთვის მოეწვდიათ საღამოს მოწყობა. მაშ, რა მოხდა? მოხდა ის, რომ მიზეზებს ეძებდენ და ხრიკებს მიმართენ. დიახ ხრიკებია, უმეცანო ხრიკები. წინაღმდეგ შემთხვევაში, ვსთქვათ, რომ ეს კიდეც ესე მოხდა: გამგეობის ორი წევრი არ შეეკითხა მესამეს. განა ამ უკანასკნელს არ შეეძლო გაგეგებაში განცხადება, შეკითხვა შეეტანა, თუ რას ნიშნავს მისი არაფერათ ჩაგდება? თუ გამგეობა ვერ დაკმაყოფილებდა მის „შელახულ“ თავმოყვარეობას, მაშინ უნდა მისულიყო და სათვისტომოს მორიგ კრებაზე გაეცხადებია, ან არა და თუნდ ამისთვის სავანგებოთ მოეწვია კრება. ან, ასე უნდა მოქცეულიყო და არა პატარა ბალღივით გაბუტულიყო და გარს უფროსები შემოხვია. თუ ეს მან, ახალგაზრდამ, გამოუცდელმა არ იცოდა, სად იყენენ სხვები, დახელოვნებულნი? რა თ არ დაარიგეს? მაგრამ განა არ დაარიგეს? დაარიგეს და სწორეთ ისე როგორც მათთვის ხელსაყრელი იყო. რის მეცლის გერცემაც კონდათ, ეს ყველამ აშკარათ გავიგეთ. მათ მოგვიზომეს ეს საღამო. იმის მაგერ, რომ არჩილის საღამო არჩილის რეფერატებით დაგვეწყო, მათი ბანაკიდან ერთ მოსულთან კინკლაობით დაიწყო. მოიშალა ყოველი ხალისი. მიეხედავთ ამისა, თავჯდომარემ მაინც აფრთოვანებით წარმოსთქვა სიტყვა. გადაელო რა თვალი მეცხრამეტე საუკუნის მამულიშვილთ, გადავიდა განსვენებულ არჩილზე, რომელ ზედაც უფრო მეტ ხანს შეჩერდა. სიტყვა გაათავა იმითი, რომ „იმედი რეფერენტები უფრო ვრცლათ შეეხებიან დიდებული მამულიშვილის მოღვაწეობასა“. ჩვენც იმედი გვქონდა, რომ რეფერენტები უფრო ვრცლათ გვეცნობიდენ არჩილის პიროვნებას, მაგრამ იმედები არ გვიმართლდა. სულ იყო მეტადრე პირველი რეფერატი. რეფერენტს უნდა სცოდნოდა, რომ რეფერატივის არ ქმაროდა „სახ. გაზ“-დან ამონაწერი მეშის წერილი და რამოდენიმე ტაეპი არჩილის ნაზარევი. რეფერენტი ამბობდა: „მიყვარს სპეტაკი მეშაკი, მიყვარს ეს დიდი ადამიანი“. ჰო და რომ უყვარს ეს დიდი ადამიანი, დიდი დროც უნდა დაეხარჯა, უკეთესათ უნდა მომზადებულიყო და ფართოდ გაეცნო მართლაც ეს დიდი ადამიანი.

ვერ დაგვკმაყოფილა ვერც მეორე რეფერატმა. იმ ბეჭედით მამულიშვილს კი, რომელმაც საქართველო კვლავ საქართველოთ გამოაცხადა და მის სამსახურში დალია სული, მეტი პატივისცემა, მეტი ყურადღება ეკუთვნოდა ჩვენგან.

რაღაც უცნაური მიზეზების გამო მესამე რეფერენტსაც მხოლოდ იმ სადამის გახსენება უყარ მოსწენების წაკითხვაზე.

ასე ამგვარათ უშთათ, ულაზათოდ, ჩაიარა ჩვენი უკეთეთი არჩილის საღამომ.

აქვე ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა კიდევ სტუდენტების ჟურნალზე.

როგორც ვიცით „ჯოლიდის“ 25 მაისს. დესანიშნავია, საიდანაც ჩვენ ვტყობილობთ, რომ პატრონები გადაეწყვიტა ჟურნალის გამოცემა და თანამშრომელთ მიუთითებენ თავიანთ მისამართზე. ამ გვარათ, თუ აჭამდე ერთიც არა გვქონდა ახლა ერთი შეხედვით კაცს ორიც მოეჩვენება. ჩვენ კი ვშიშობთ კი თუ ორის მოლოდინენი ერთსაც ვერ ეეღირსოთ (სხვათა შორის, თქმა არ უნდა, რომ ერთი ჟურნალი სრულიად საკმაოა) ვაი, თუ ორივე სარდაქციო კომისიებს დიდხანს დასჭირდეთ მასალებისთვის ცდა. ამიტომ საჭიროა ახლავე დროზე გამოიკვეს, თუ დანაშდვილებით ვინ ამირების ჟურნალის გამოცემას. აშკარაა ერთ ერთმა უნდა დაუთმოს თავის მასალებიც იმას მიაწოდოს, რომელიც უფრო მკვიდრ ნიადაგზე იწყება. ვიმედოვნებთ, რომ პასუხს მალე შეგვატყობინებენ პრესის საშუალებით, რათა მთავლება თანამშრომელმა იცოდეს, სად და ვის მიაწოდოს მასალები.

ქვისეგა. შაისი. თეთრი.

დეპეში.

საზღვარ გარეთი.

ლონდონი. „რეიტერის“ ცნობით ელჩთა თათბირის სხდომის განსხილვის ხუთ წამს შემდეგ სამშვიდობო ხელშეკრულობაზე მებრძოლმა მხარეებმა ხელი მოაწერეს. ამ ხელის მოწერის გამო გარიმ დელეგატებს მადლობა გადაუხადა და თავის ვრცელ სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა: სულით და გულით ვისურვებ— ამ ხელშეკრულების ყველგან შვიდობიანობა დამყარდებოის, ვისურვებ— ყოველ ხალხშეფის თავის ხალხის ეროლდღეობა მაღლა აეყვანოს. სამეძრძოლის დელეგატის სულფულისმა, როგორც ყველაზე უხუცესმა, მადლობა გადაუხადა დიდ ბრიტანის მეფეს და ამგრძავიე მადლობა უთხრა გრეისაც.

„რეიტერის“ სააგენტო იწერება:— მართალი არაა, ვითომ ინგლისის მეფე ამ ზაფხულს რუსეთს წასულს ეპირებოდეს.

შვიდობიანობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას შემდეგ დანეეშა სთქვა: დელეგატებს ძვირათ დაუფდათ და ბევრი შრომაც დახარჯეს მათი უკანასკნელი მოვალეობის შესრულებისათვის. ბალკანეთის სახელმწიფოთათვის 17 მაისი ისტორიულ დღეთ ჩაითვლება. ამ დღეს შემდეგ გუშინდელი მტრები ერთმანეთს ხელს გაუწვდიან და წარსულში რაც მოხდა— დავიწუებას მისცემენ. ამას შემდეგ დანეეშა გრეის მიმართა და როგორც შვიდობიანობის ერთგულ მომხრეს და მსურველს მადლობა გადაუხადა. მთავშავეთის წარმომადგენელმა პოპოვიჩმა განაცხადა: მთავშავეთის წარმომადგენლები კმაყოფილი არ არიან იმ ხელშეკრულებისა, რომელზეც იძულებული არიან ხელი მოაწერონ. მთავშავეთმა სკუტარი უფრო ინგლისის მეობებით დაკარგეა. დელეგატებს იმედი აქვთ—ინგლისი აღბანეთის სახელგრების შეცვლას მთავშავეთის სასარგებლოთ მოახდენს. ბოლოს დანეეშა სთქვა: ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გარდა, დელეგატებმა დამატებითი ოქმებიც უნდა მოაწერონ ხელი: ამ ოქმზე ხელის მოწერას შემდეგ შეეა ხელშეკრულება ძალაშიო. ცნობილ, მთავშავეთის და სბერძნეთის დელეგატებმა განაცხადეს—დამატებით ოქმის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცითო. გადაწყდა ელჩთა თათბირის შემდეგი სხდომა 20 მაისს მოხდეს. „რეიტერის“ ცნობით დელეგატები ლონდონში დიდხანს არ დარჩებიან

ბერლინი. გერმანიის ბანკების კონცეციუმმა, პრუსიის საიმპერიო ბანკის ხელმძღვანელობით სახელმწიფოს 175 მილიონი მარკა ასესხა. სახელმწიფომ ეს ფული 1935 წლამდი უნდა გაისტუმროს, ამ ფულით განზრახულია რკინის გზების გაყვანა.

„რეიხ სტაგში“ არჩევენ სოციალისტების წინააღმდეგს, ელზას—ლორენის პრესის და კავშირების წინააღმდეგ სასტიკი კანონების გამოკეების შესახებ. იმპერიის კანცლერი თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ პროვეტი ჯერ საბედნიეროთ არ გამოკვეცნებულაო და ებება ელზას—ლორენის მცხოვრებთა ნაციონალისტებს.

სოფია. ოფოლოხი „მირი“ სწერს: პაზიჩმა სკუპჩინაში განაცხადა: ერთმა სახელმწიფომ ურჩია სერბიას, რომ ადრიატიის ზღვის ნაპირებზე ხელი აეღო. ავსტრო-უნგერთმა განაცხადა ეს სახელმწიფო მე არ ყოფილვარო.

ბელგრადი. გაზეთი „სამოუპრავა“ შვიდობიანობის ქალაქებზე ხელმოწერის გამო სწერს: სამოლოო მშვიდობიანობის ქალაქებზეც მალე მოკაწერთ ხელს. ამ შვიდობიანობას [illegible] დაპყრობილ მიწელი გადაეცემა ბით. სასურველია, [illegible] მხედველობაში მიიღონ [illegible] რა სამხედრო სამსახურა გასწია.

პაზიჩის და გეშოვის პირადათ შეხვედრა სხვა დროისათვის გადაიდვა.

რომი. პარლამენტმა სამხედრო ბეგარის შესახებ კანონ—პროეკტი მიიღო. სამხედრო ბეგარის მოხდის დრო ორი წლითაა განსაზღვრული. ეს რეფორმა ჯარს 30 ათას კაცს შემატებს.

სოფია. „მირი“ აცხადებს, რადგანაც აჭი ბულგარეთს ოსმალეთთან სახიბერი არაფერი აქვს, იგი ვალდებულია ოტომანის იმპერიის ხელშეუხებლობა დაიცვას, ოსმალეთის ავიერებსა, რომელნიც სოფიაში ტყეეი არიან წაყვანილი მშვიდობიანობის ჩამოგდება იდღესასწაულეს.

ვენა. იანვრიის ჯამშეობისათვის 20 წლის კატორგა მიუსაჯეს.

რომი. დეპუტატთა პალატაში მშვიდობიანობის შესახებ ხელშეკრულობაზე ხელის მოწერას დაეხა, დეპუტატმა ვალდა განაცხადეს: არ შეცდებიან მოკავშირეები, თუ ჩვენ ბალკანეთის სახელმწიფოთა თანამშრომობაში მივიღებენ. პალატის პრეზიდენტმა მარკორმა სთქვა: ჩვენი სურვილია ბალკანეთში მტკიცე მშვიდობიანობა დამყარდესო. პალატის პრეზიდენტმა გარეშე საქმეთა მინისტრს სთხოვა; მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადე გრეის სომეთა საკითხის თანაგრძნობისათვისო. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა: მთავრობა გაეცნო სტამბოლის უკანასკნელ ამბებს და დარწმუნდა, ოსმალეთში მშვიდობიანობა მაინც დამყარდება, რომელსაც სომეთა საკითხი გადაწყვეტებაო, იტალიის მთავრობა რეფორმების განხორციელებაში პორტას დახმარება:

სტამბოლი. ოსმალეთის პრესა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო აცხადებს: სამარცვინო ხელშეკრულება ოტომანელთა სინდისს მძიმე ულელათ დააწვებაო. პრესას იმედი აქვს, რომ მთავრობას ძალას არავინ დაატანს კონტრიბუციის გადახდაზე.

სომეთა ნაციონალურ საზოგადოების კრებას ოსმალეთის პროვინციის 80 წარმომდგენელი დაესწრო. კრების თავჯდომარე გახდა ბაზიანი: —მიუხედავად დიდი ვიზირის დაპირებისა, სომეხთა წინააღმდეგ ძალმომრეობას 70 შემთხვევა მოხდაო. პატრიარქის სამჭის მიერ 15 დღის განმავლობაში შეიმუშაოს წესები იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგენ სომხები.

...ესთხოვა ფული მიშოვოს!.. ხვალვე გავსწევ!.. მეც!.. ჩემი პრიშმაც!.. იქ ერთად ავეზრდით პაწია გოგას!.. ორივე ერთად შთაუნერგავთ ზიზღსა და ტრფობას მამა ნორჩ გულში ხორცშეცხადი ამა ქვეყნისა!.. რომ მომავალში შეეეერთდეს იმ „უკანონოთ“ შობილთა გუნდს, რომელმაც უნდა აღმოფხვრას „კანონიერათ“ შობილთა ყალბ საფუძველზე აგებული ცხოვრება!.. რომელმაც უნდა გააკეთოს ბასრი წეშტარი გრძნეულ თასმათა დასაკეთებო, რომლითაც შებოჭეილი ეროვნული ნაწილი ჩვენი ბეღურული ერისა!.. დიახ! უნდა წავიდეს!.. უნდა წავიდეს!...

ამ ფიქრებში სახლსაც დაუახლოვდა. თვალი მოკრა კარზე მომდგარ მაიას, რომელსაც ხელში ბავში ეჭირა და გზასკენ იყურებოდა.. ბავშის დანახვაზე საბეზე სიხარულის ფერმა გადაკრა... ნაბიჯს უმატა... დარეფაზე[illegible] მივიდა...

— ხომ არ უტირია, მაია, ბავშს?..

— არა, შეიელო!.. სულ ვაცინე!...

— გამდღობთ ჩემო მაია!.. მომეცი ახლა!—ისეთი კილოთი დაიწყო, რომ არ უნდოდა მაიას შეემჩნია მისი დღევანდელი თავგადასავალი.

— არა, შეიელო! ჯერ წერილი წაიკითხე!.. ვინცაა ბიჭმა მეტანა!..

— სად არის? მომეცი!—გაოცებული დატრიალდა ტასო და სუფრაზე წერილი აიღო სანჭარათ გახსნა.

რას თრთის საბრალო... რა უმართებს... რათ უფეთრდება ტანჯული სახე!...

— ვასო... ღალატი..— შეილო!..—დაეღრიალა ტასომ და გულწასული დაეცა იატაკზე...

— ვაიმე, შეილო! - მიაკვლა მაიამ... ნენა! - იწივლა პატარა გოგომაც...

წერილში წერია: „შენმა ვასომ ერთ რუსის ქალზე ჯვარი გადაიწერა.....“

ქ. ჭ—რია.

САВАЧРО САХЛИ ГОКИЕЛИС ЗАВ-ГО

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ: შაბიამნი ინკლისის, გოგირდი დაფქვილის საუკეთესო ხარისხის, ნაძდელი „ეკრძორკელის“ მანქანა, გოგირდის ... ...

იყიდება ზომიერ ფასად.

სმა მოსკოვიდან.

—:—

დარწმუნებული ვარ, ჩვენს საზოგადოებას ძლიერ აინტერესებს სტუდენტების (რასკვირველია უპირველესად ქართველი) ამბავი და ამისთვის მეცა მსურს ცოტა რამ მოგახსენოთ:

როგორც ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში ისე მოსკოვში არსებობს ქართველ სტუდენტთა სათვისტომო. აქვეა ილია ჭავჭავაძის სახელობის წრე. სათვისტომოს დანიშნულება მხოლოდ მატერიალური დახმარებით განიზომება, მაგრამ დღეს კი ეს ყოველად შეუძლებელია, რადგან სათვისტომო სამწუხაროდ მდგომარეობაშია. აქ არ შეეხები თუ რამდენი გაიადებული ფული აქვს ამ წრეს და რა შეძლების კაცებია ისინი, ვისაც სათვისტომოს ფული გაყვა, მხოლოდ ვიტყვი, — ასეთ მდგომარეობაში არც ერთი ქართველთა სათვისტომო არაა. სწორეთ ამ დროს ამოირჩიეს ახალი გამგეობა. გამგეობამ ალარ იცოდა რა ჯზისთვის მიემართა... საქირო იყო ფული.

გამგეობაში ყოველ დღე წევრების თხოვნები შედიოდა, თხოულობდენ დახმარებას, იტანდენ შიშრილს. ნუთუ ყველა ეს დაავიწყდა ძველ მოვალეებს.

ახალი გამგეობაც შეუდგა საქმეს. ტრადიციონურ საღამოს გამართვაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. გადაწყვიტეს პატარა საცეკვაო საკონცერტო საღამოს გამართვა, რაც სისრულეში მოიყვანეს 5 მაისს.

საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ყურადღებას იპყრობდა საკონცერტო განყოფილება. მღეროდენ ჩვენი ახალგაზდა მომღეროლნი; ნ. საყვარელიძის ასული ვ. შარაშიძე, ლ. ჩუბინაშვილი, ივანიძე, ი. ამირაჯიბი (თარი), ფანიაშვილი, (ჭიანური) თ. შიშკინი დეკლამაცია (ტყემ მოისხა ფოთოლი) რუსულად, გოლოვინის ასული — „ნიშა“... სასიამოვნო ის უფრო იყო, რომ ქართველი ქალები იღებდენ მონაწილეობას.

ალანიშნავი ნორ. საყვარელიძის ასული, მისი ხმის ტემბილი კილო იპყრობს დამსმენის ყურადღებას: თუ ხმის, შრომის უნარსაც ხელი შეუწყო, იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალში საპატიო ადგილს დაიკავებს.

აგრეთვე კარგი მომღერალი დარჩება ვ. შარაშიძეც, იგი კონსერვატორიაში სწავლობს და ნაკლობა ამხანაგები იმედებს ამყარებენ მასზე.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი ცუდი მოვლენა ახლ გაზდა მომღერლებისა: ესენი მოშორებული არიან ჩვენს ცხოვრებას და უცხო ენებზე სწავლობენ ხმის გადასვლა- დამუშავებას, ჩვენი სიუის გახმოვანებას თანდათან შორდებიან, და ევროპოდეს ისინი ქართული სულის გამომხატველი ვეღარ იქნებიან.

ძლიერ მაკვირვებს აგ არსებული „ქართული სტუდენტებისადმი“ განწყობილება ქართველ სტუდენტებისადმი. ჩვენსა და მათ შორის თითქოს „ხიდი ჩატეხილია“, ერთმანეთს გაურბიგართ. რით აიხსნება ის, რომ ხსენებულ საღამოზე პატივცემული ალ. ჯავახიშვილის ქალი არავინ იყო? ჩვენ მათ არაფერი აინტერესებს.

ან კი რა გასაკვირია; ჩვენი სულის მათ ალარაფერი აინტერესებთ. ცივ რუსეთში გულიც გაცივებიათ. საღამომ შეიდ თუმნამდე დასტოვა....

გამგეობას სხვა მიზანიც აქვს და თუ სისრულეში მოიყვანა, იქნებ, დაებრუნოს ღირიმ სტუდენტობას.

ქართველი.

ვეჟრილობა ქუთაისში და მისი მოკლე ანგარიში[1].

ორგ ვარი მიზანი აქვს გვირილობას გამართვას დასახულია: პირველი — გამოინახოს ნივთიერი საშუალება ქლქთან ბრძოლისთვის სხვადასხვა ზომების მისაღებათ, მეორე გავრცელდეს ხალხში ამ სენის შესახებ საღი წარმოდგენა, გავრცელდეს მასში ის შეგნება, რომ დროზე მიღებული ზომები და შეერთებული საზოგადოებრივი ბრძოლა საუკეთესო საშუალებაა ქლეკის დასამარცხებლათ.

თვით გვირილა უბრალო მინდვრის ყვავილია, მაგრამ დიდი და ღრმა იდეა მასში დაფარული. ის არის ემბლემა-წყნარი ერთობილობის ბრძოლისა, ის არის ერთ გვარი იარაღი, რომლის საშუალებითაც კაცობრიობამ გადასწყვიტა ებრძოლოს ერთ უსაშინელეს თავის მტერს.— ეს უბრალო ყვავილი უსიტყვოდ ბეჯით პროპოგანდას ეწევა და თავისებურის ენით უხსნის საზოგადოებას თავის დღეობის დიად მნიშვნელობას.

— ქუთაისში წელს თებერ ყვავილის დღეობის მოწყობა ნორჩმა, ახლად დაარსებულმა კავკასიის ქლეკთან მებრძოლი საზოგადოების განყოფილების გამგეობამ იკისრა და რაც შეეძლო შეეცადა ეს დღე საზოგადო დღესასწაულათ გადაექცია და ორივე ზემო აღნიშნულ მიზანს დაახლოვებოდა.—

რომ უფრო ფართო ხასიათი მისცემოდა ამ დღეს, გამგეობამ ქუთაისის გარდა, თავისი მოკმედება მოშორებულ დაბა—ქალაქებშიც გადაიტანა, დააარსა იქ ადგილობრივი კომიტეტები, გაუწია მათ ყოველივე ხელშეწყობა, დაუგზავნა თებერი ყვავილები, ბროშიურები, დაურიგა ცულაბები, კალათები, მოაწყო ლექციები, გამართა ქლეკზე და მის საწინააღმდეგო ბრძოლაზე საუბარი და სხვა.

სამწუხაროთ, ქუთაისის გარეშე ადგილებში გვირილობა ოც პპრილს იმქნა გამართული. ამ დღეს კი ყველგან ცუდი დარი იყო და მან ხელი შეუშალა დღესასწაულს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა კომიტეტებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს და თავისი მეცადინეობით ბევრი შესძინეს საქმეს, როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად. ამისთვის ქუთაისის გამგეობა ულრმეს მადლობას უთვლის და სთხოვს მათ კვლავ არ დაიშურონ თავიანთი შრომა ამ ფრიად კეთილი საქმისათვის.

თვით ქუთაისში გვირილობა ოც და ოთხ პპრილს გამართეს და ეს დღე ბევრათ მოხერხებული გამოდგა. მშვენიერი, თფილი მზიანი ამინდი იყო და ეს ძლიერ უწყობდა ხაქმეს ხელს.

ამ დღეს ქუთაისის საზოგადოებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ, მიუხედავათ მისი სიღარიბისა, სასარგებლო საქმისათვის ის არაოდეს არ დაიშურავს თავის წვლილს; მან დაამტკიცა, რომ ის მზათაა მხარი დაუჭიროს და გაამაგროს ახალი ნორჩი ქლეკთან მებრძოლი საზოგადოება, რომელიც ამისთვის გულ — წრფელ მადლობას სწირავს როგორც შემომწირველთ, აგრეთვე ყველას, ვინც ისე მხნეთა და ერთგულად მუშაობდენ ფულის შეგროვებისათვის. ყოველები რიან გახსნეს და შეგროვილი ფული დაითვალეს სულ აღმოჩნდა 2886 მან. 29 კაპ., თითქმის ორასი მანათით შეშინდელზე მეტი..

ახლო-მახლო დაბა-ქალაქებიდან გამგეობამ მიიღო სულ 2115 მან. 54 კ. გამოგზავნა: სენაკმა 530 მან. 78 კ.; ზესთაფონმა—378—76; ოზურგეთმა 359—76; სამტრედიამ — 217—19; ონმა —195; საჩხერემ — 166—77; ხონმა—105—89; ზუგდიდმა— 92—81; ლაილაშმა—68—36.

ამ გვარათ ქუთაისში და მის ახლო მახლო შეგროვდა წელს 5001 მან. 83 კაპ.

აქიდან დაიხარჯა (ყვავილები, ყუთაბები, კალათები, ბროშიურები, ლექციები და სხვას 801 მან. 97 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 4199 მან. 86 კაპ. შარშანდელი შემოსავალი და საწევრო გადასახადი განყოფილებას ქონდა 1716 მან., ასე რომ ამ ჟამათ ქუთაისის განყოფილებას აქვს ნაღდი ფული სულ 5876 იან. 36 კაპ..

წელს შემოსული ფულიდან წესდების ძალით თავთ განყოფილებას უნდა გაეგზავნა 50% პროც.,ვიდრე ათას მანეთზე მეტი(ეს ფული ხმარდება ამბულატორიის სანატორიუმის აშენებას), მაგრამ ქუთაისის გამგეობა ცდილობს ეს 25 პროც. აქვე დასტოვოს.

საშუროა ზემო ნათქვამს შემდეგი დავსძინოთ. ამ რამოდენიმე დღის წინათ „ხალხური გაზეთში“ ქუთაისელი „კორესპონდენტი წერდა, რომ ადგილობრივ სატუსაღოში ქლქქიანთა რიცხვი ბევრია და ამას ქლქქთან შებრძოლმა სახოგაოებამ აბრალი უნდა გაუწიოს და შემწეობა აღმოუჩინოს, ავადმყოფებსო. გარდა ამისა გამგეობაში შემოვიდა კერძო ავათმყოფობიდან რამდენიმე თხოვნა.—

სამწუხაროთ, გამგეობას თავისთავად აქ არაფერი არ შეუძლია და ვერც ერთ კერძო თხოვნას ჯერ-ჯერობით ვერ დაკმაყოფილებს, ამისი უფლება არ აქვს. ამ კითხვებს სწყვეტს საზოგადო კრება, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა იქმნეს, მოწვეული და რომელმაც უნდა განსაზღვროს თუ რა და რა საჭიროებას მოხმობილს შეგროვილი ფული.

ეს საკითხი მეტათ საგულისხმოა და იმედია საგანგებით მოწვეულ საზოგადო კრებას ყველა მისი წევრი დაესწრება, რომ შეერთებული ძალითგონიერება და სასარგებლო გადაწყვეტილებას დავადგეთ.

აქვე მოგვყავს იმ პირთა სია, რომელნიც არა მარტო თვთრ ყვავილს ყიდულობდენ და ამ გვარათ შემოქონდათ თავისი წვლილი, არამედ საჭიროთ სცნეს ეს კიდევ ამას გარდა გადასცეს გამგეობას ფული, როგორც განსაკუთრებული შემოწირულება: არონ რიფინაშვილმა 30 მ., არონ ელიგულაშვილმა 20 მ., პეტრე გოკიელმა 15 მ., ლევან კოკოსაშვილმა, ფილიპე ციციშვილმა, მარიდახ ფირხაძემ, დანიელ ფირხაძემ, იაკობაშვილმა, კირაკოაოზოვმა და ოლანოვმა, რაფიელ რიტინაშვილმა ათ-ათი მანეთი, ოლქის სასამართლოს წევრმა კ. ი. პლოტნიკოვმა 7 მ., გაბრიელ ჩიკვაშვილმა, გაბრიელ ფირხაძემ, მიხეილ მოშიაშვილმა, ტ. ელიავამ, რ. შამლიაშვილმა, ე. ზვიადაძემ და კიკაბიძემ, ნესტორ ბარამაძემ, ძმ. ფირხაძეებმა, მიხ. ჭოჭანიძემ, კასუმოვმა, ბინაშვილმა, ძმ. ფილიპოვებმა, გორდაძემ და წერეთელმა, კილოსანიამ და ბასილაძემ, ძმ. ტყემლაშვილებმა, ბახტაძემ, ი. კანანაძემ, გრიკუროვმა და ვარტანოვმა, ფეტკაროვმა, გ. გლდანოვმა, ფ. ს. ფილიპოვმა, სატმა, ნ. ჯაველიძემ — ხუთ-ხუთი მანეთი.

გამგეობის მინდობილობით აკიმი

კონსტ. ტყემლაშვილი.

შემოწირულება.

—:—

ქართველთა შორის წურა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 5 მაისს გამართულ სეირნობა ბაზარს მოუვიდა შემდეგი შეწირულება:

ბარბალე ჭოლოშვილისამ — ყვავილის ორი ვაზა. ჩაედინა გადასაფარებელი ქსოვილი და ქანდაკება. ანტონ ოდიშარიამ — ბროლის სამელნე; ნესტორ გერასიმიამ — ქარვის ვერცხლით მოჭედილი ბუშტუკი; მიხრან ამბროკ ანანოვებისაგან — 6 ბოთლი შამპანიური; კირილე სოსელიანისაგან-6 ბოთლი შამპანური; თამარ მაკვარიანის ასულისაგან — სამი ჩოქი თავისი ჩამოსაკიდებელი დფთი; ბარბალე ალშიბაიასაგან — 6 სალფეტკი სამე, 1 მაუდის ზონარი, 2 სანინ; ფოტოგრაფმა ლოთქიფანძემ — 20 ალბომი ჯოროკაძის სურათი და სამი ჰალადიდელის; ქეთო ჭითაეს ასულისაგან — ნაქსოვი წინსაფარი; მამფორიას ასულისაგან — საპირეს გადასაფარებელი; ოლიპია ხოჭოლავას ასულისაგან — 1 მან. ლიზა მოსე შვილის ქალისაგან 10 შაური; ანა არქიპ სოსელიანის შეუღლისაგან — პირსახოცის არშია, საპირეზე გადასაფარებელი პეოპანის გული და სახელოები; ეზიკოვებისაგან — 2 მოქარგული საყელო, 1 მოქსოვილი ფეშტიმალი, 1 მოქსოვილი ჩანთა 1-ბავშვის მოქარგული პერანგი, 1-პერანგის ამხანაგი ბავშის, 1- არშიანი ბავშვის კაბა, მოქარგული ბალიშის პირი; კათოლიკეების შვილიდან — უსასყიდლოთ მათ მიერ მოქარგული 6 პირსახოცი 3 საპირეზე გადასაფარებელი; ბეგაის ქალებისაგან — მოქსოვილი საყელო, ჩაის საღეფტკები, მოქარგული ჩარჩო, წყლის ჭიქა თავის ლამბრაკით.

ციცინო ჩიკვაიძის ასულისაგან ცხვირსაოცების სამე, ბალიშის მოქარგული ზოლი; როზალია სიდავას ასულისაგან — მოქარგული ჩარჩო; რიოა სიდავას ასულისაგან — ლანგარზე გადასაფარებელი; მარია ბალაზოვის ქალისაგან ვაჟის მოქარგული პირანგი; მარო მოკუროვას მეუღლისაგან ხავერდზედ აქარგული ბალიში: ნინო რეხვიაშვილის მეუღლისაგან პლიუშის და ხავერდის ბალიში; ვერა ბოკუროვას მეუღლისაგან — ორი ვაზა.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის სოსნოვის ოლქში უმაღლესი სასახლის გოგმეისტერის, სტეფანეს ძის ნაჭაჭ-ძალაყვის ბუმსის მინების ქარხნისა, მაქსგანსაკუთრებული ყურადღება მინის ეუთხე ნიშნის „Бемское“ რეცეპტურობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მოღებული რკინული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წვანილი,
ელექტრონის სარის მოწყობილობანი, შპალერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

„ᲛᲔᲠᲪᲔᲡ ᲕᲔᲠᲫᲘ“

ყოველკვირეული სალიტერატურო და მხატვრული ჟურნალი „მერცხვერძი“ გამოვა კვირას 17 მაისიდან. ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ჩვენი გამოჩენილი თანამედროვე მწერლები.

მიიღება ხელისმოწერა შემდეგ ფასებით:

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.		საზღვარგარეთ
5 მ.	3 მ.	1 15	10 შ.		ერთი ნომერი

მისამართი:
ქუთაისი ქაზაკოვის ქ. სახ. იაშვილისა.

ცალკე № 2 შაურათ.
რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

მიიღება სეკდის მოწურა 1913 წლისათვის.
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲣᲠᲘ ᲥᲕᲘᲠᲜᲐᲚ

„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲖᲔ“

(წელიწადი პირველი)
ᲓᲐ ᲥᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ვისი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. ღვ. ს. მგელაძე.

ნ. ს. ტერკი.

ქუთაისი. ქარვასლის ქუჩა.

სპეციალური სავაჭრო

ნავთის კალონი ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ მოსაკვლელი.

ნავთისაგე მრავალი ფერები, საშხარეულო, სათფური და პრიმუსები.

ფასები ძალიერ დაწეულია.

მოითხოვეთ პრეისკურანტები.



რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის.

თფილისს: სახალხო 5 ს.10წ.დ.; სახ. 10ს. 6წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ.დ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.

ბათომს: სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5წ. საღ.; სახ. 11 ს. 27 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

ფოთს: საგაკაო 4 ს. 22 წ. დ.; სახალხო 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ.

შორაპანს: საგარო. 4 ს. 57 წ. დღ.

ტყიბულს: სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

ქუთაისს მოდის.

ოფილისი: სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8
დან: საღ.; ფოშტ. 6 ს. 56
სახ. 1 ს. 26 წ. ღამ

ბათომიდან: ფოშტ. 11. 20 წ. დღ
14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.
7 საათ. დილ.

ფოთიდან: საად. 10 ს. 3 წ. დილ.
20 წ. დ.; სახ. 1 ს. 2
შორაპანიდან: საად. 9 ს. 31 წ.

ტყიბულიდან: სახ. 5 ს. 11 წ. დ
საათ. 9 წ. დილ.

ᲐᲖᲐᲜᲝ

ᲙᲛ. ᲕᲝᲠᲕᲝᲚᲐᲫᲔᲒᲘᲡᲐ

მიმართეთ პირდაპირ

15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კეთილსხვადასხვა სენისავან, როგორც არის: ქარება. (რევმატიზმი) კუჭის თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილი ფასი ხელმისაწვდომი. ბრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათ საჟენის მანძილზეა. იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.